ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №756859

ნომერი: AR1141393

თარიღი : 24.06.2013

გაცემის თარიღი : 25.06.2013

გაცნობის თარიღი : 09.07.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 18/რუსთაველის გამზირი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით გაჩეჩილაძე პ/ნ 01024017635
- თბილისი, ბახტრიონის 28, ბ. 9

ორგანიზაცია:
- შპს მაგთი კოდი: 204873645

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილ ქურდიანი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: გია და არჩილ ქურდიანის სტუდია ,,დინასტია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204443888

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ,,მაგთი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204873645
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ,,მაგთი", დავით გაჩეჩილაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024017635

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 659561
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.04.2013

ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2013 წლის 25 აპრილის N659561 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 25 აპრილს შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), გუდიაშვილის ქ. N18 / რუსთაველის გამზირის N7–ში, შპს ,,მაგთი''–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მუზეუმის არქიტექტურული პროექტი ფასადების შეთანხმების გარეშე, მათი შემდგომი გადამუშავებისა და დამატებით განხილვისათვის წარმოდგენის პირობით, გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა ნულოვანი ციკლის დასრულებამდე. 2013 წლის 10 ივნისს N AR1126811 განაცხადით წარმოდგენილი იქნა ფასადები. სამსახურის 2013 წლის 20 ივნისის N739755 ბრძანებით დამკვეთს N659561 ბრძანების მე–3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ჩაეთვალა შესრულებულად და აღნიშნული ფასადები დაერთო შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას.

2013 წლის 24 ივნისს N AR1141393 განაცხადით სამსახურს მომართა მოქ. დავით გაჩეჩილაძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2013 წლის 25 აპრილის N659561 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 25 აპრილის N659561 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 26 აგვისტოს ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2016 წლის 7 ივლისის ჩათვლით'', ხოლო მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს: 1. ფუძის მოწყობა; 2. ნულოვანი ციკლის დასრულება; 3. გადახურვის მოწყობა; 4. შენობის მიწისზედა რკ/ბ კონსტრუქციების აგება; 5. სახურავის მოწყობა; 6. შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები; 7. გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 25 აპრილის N659561 და 2013 წლის 20 ივნისის N739755 ბრძანებებთან ერთად;

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge